პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 12 აგვისტო, 1942 წ. № 189 (6505). ფასი 15 კაპ.

კოლმეურნეობათა პირველი მცნება

ალტაის მხარეში, ტოპჩიხის რაიონში, არის კოლმეურნეობა „მაიაკი". ამ კოლმეურნეობის მინდვრებში სავსე, სუფთა მარცვალი მოვიდა. აქ კოლმეურნე ქალები და კაცები დილიდან გვიან საღამომდე მუშაობენ. კომბაინის შემდეგ მინდორში არცერთი თავთავი არ რჩება. არცერთი მარცვალი არ იკარგება ნამჯაში და ბზეში. იქ კარგად მუშაობენ მოსავლის

...

ზახეთის ათ ოლქში. ბევრი კოლმეურნეობა ვადამდე ასრულებს თავის ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

დღითი-დღე ძლიერდება წითელი არმიის პურის ფონდში მარცვლეულის ვადამდე ჩაბარება. ჰასან-ყულის რაიონის (თურქმენეთი) კოლმეურნეობებმა ერთი დღის განმავლობაში შეასრულეს ამ ფონდში მარცვლის ჩაბარების დავალება. სავალდებულო

...

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 აგვისტოს დილის ცნობა

10 აგვისტოს ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მტერთან კლეტსკაიას რაიონში, კოტელნიკოვოს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, აგრეთვე არმავირის, კრასნოდარის და მაიკოპის რაიონებში.

ფრონტის სხვა უბნებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

კლეტსკაიას რაიონში ჩვენმა ჯარებმა ჰიტლერელთა რამდენიმე იერიში მოიგერიეს. კლეტსკაიას სამხრეთით № ნაწილი ბრძოლებს ეწეოდა მტრის შემოჭრილი ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ და 300-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა. სხვა უბანზე ...

...

მანქანა და გაჟლეტილია 1,000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავი რაზმები. მზვერავთა ჯგუფი მოულოდნელად დაესხა თავს მოწინააღმდეგის განლაგებას და 80 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტა. № ნაწილის სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში 60 ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

სუმის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა ამხ. ი-ს პარტიზანულმა რაზმმა თავისი საბრძოლო მოქმედების განმავლობაში 1.000-ზე ...

...

11 აგვისტოს საღამოს ცნობა

...

ყვანილ იქნა გერმანელთა 19 ტანკი. მოსპობილია 37 ავტომანქანა და 40 მოტოციკლი. ბრძოლის ველზე გერმანელებმა 700-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს.

ჩერკესსკისა და მაიკოპის რაიონში ჩვენი ჯარები მძიმე მოგერიებითი ბრძოლებს ეწეოდნენ შეტევაზე გადმოსული მტრის ჯარების წინააღმდეგ.

* * *

ვორონეჟის სამხრეთით საბჭოთა ჯარები ინარჩუნებენ დონის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დასახლებულ პუნქტებს, რომლებიც მათ ამ დღეებში დაიკავეს. ჩვენმა მებრძოლებმა დღის განმავლობაში რამდენიმე იერიში მოიგერიეს მტრის ქვეითი ჯარისა, რომელიც ასეული ტანკის დახმარებით მოქმედებდა. ჰიტლერელებმა 450 კაცი დაჰკარგეს მარტო მოკლულთა სახით. დაზიანებულია გერმა-

...

... დება. ოფიცრები ასეთ ძარცვა-გლეჯას აქეზებენ იმ ვარაუდით, რომ ჯარისკაცები წინ წასვლას მოისურვებენ, რათა ძვირფასი ნივთები შეიძინონ. ისინი არც თვითონ აკლებენ ხელს ძვირფას ნივთებს".

* * *

პოლონელმა პატრიოტებმა სანდომირ-კელცეს რაიონში ერთი თვის განმავლობაში 140 ოკუპანტი გაჟლიტეს. ამავე დროის განმავლობაში პარტიზანებმა ხრამში გადასჩეხეს 3 ეშელონი სამხედრო ტვირთიანად, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იგზავნებოდა, და მდინარე ვისლაში ჩასძირეს პურით დატვირთული 2 კარჭაპი. აგვისტოს დასაწყისში პარტიზანები თავს დაესხნენ ახალი მოსავლის პურის ჩამოსართმევად მისულ „სს"-ელთა რაზმს. მოკლულ იქნა 10 ჰიტლერელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი და 8 ავტომატი.

ბრძოლები ვორონეჟის სამხრეთით

მოქმედი არმია, 11 აგვისტო (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). გუშინ დონის დასავლეთ ნაპირზე, ვორონეჟის სამხრეთით, ჩვენი ნაწილები მრავალ უბანზე მტრის ქვეითი ჯარებისა და ტანკების განუწყვეტელ იერიშებს იგერიებდნენ. პოზიციები რამდენჯერმე გადადის ხელიდან ხელში.

ერთი პუნქტის ახლოს მტრის იერიშები თითქმის არა სწყდება. მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში მოგერიებულ იქნა მტრის ექვსი ძლიერი იერიში. დღეს უნგრელთა ქვეითი ჯარი ტანკების დახმარებით ...

...

რიდან გამოიყვანა მტრის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

დიდი გაფთრებით სწარმოებს ბრძოლა იმ დასახლებული პუნქტების ქუჩებში, საიდანაც ჩვენი ნაწილები გერმანელებს ერეკებიან.

საბჭოთა ჯარები დიდ ზარალს აყენებენ მტერს. უნგრელთა მე-7 დივიზია სრულიად განადგურებულია. მისი ნაშთები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ და, როგორც სამხედრო ტყვეებმა განაცხადეს, ისინი გერმანელებმა დახვრიტეს.

მხედრული ოსტატობისა და უშიშრობის ...

...

„პრავდის" მოწინავე, 11/VIII.

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, დროზე და მთლიანად შევასრულოთ პურის დამზადების გეგმები!

უზრუნველვყოთ ყველა კომბაინის მაღალნაყოფიერი მუშაობა

სიღნაღი („კომუნისტის" ხვეც. კორ.). სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას წნორის მტს-ის კომბაინერებმა იკისრეს გაძლიერებინათ კომბაინის ნაყოფიერება და მიეღწიათ ისეთი მდგომარეობისათვის, რომ დღეში მოსავალი აეღოთ სულ მცირე 9-10 ჰექტარზე თითოეულს. ზოგიერთი კომბაინერი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. მტს-ის გამოცდილი კომბაინერი ილია მაკაევი გადამეტებით ასრულებს ყოველდღიურ ნორმას. მან მოსავა-

...

მაგრამ უნდა ითქვას, რომ წნორის მტს-ში ზოგიერთი კომბაინერი შრომის დაბალ ნაყოფიერებას იძლევა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ აქ ფართოდ არ ხდება გამოცდილ კომბაინერთა გამოცდილების განზოგადება. ჩვენი ქვეყნის წარჩინებული კომბაინერის საპინის გამოცდილების პოპულარიზაცია აქ დაგვიანებით დაიწყეს.

მტს-ში ხშირია კომბაინების გაცდენა. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მტს-ს მხოლოდ ერთი მოძრავი სახელოსნო აქვს, ხოლო ...

...

... ლო ნიკო ბურდიაშვილი, ივანე ბადრიაშვილი და ნატროშვილი გადამეტებით ასრულებენ მკის ყოველდღიურ ნორმებს.

კარგად მუშაობს თელავის მტს-ის კომბაინერი ლუკა შიუკაშვილი. მან მოსავალი აიღო 220 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარისა. ახმეტის მტს-ის კომბაინერმა ს. რამაზაშვილმა 18 სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 350 ჰექტარზე, გამოიმუშავა ფულად 1.200 მანეთი და 731 კილოგრამი ხორბალი.

მოსავლის აღება ვადაზე ადრე დაამთავრეს სოფ. შალაურის, ქვემო ალვანის, ჯოყოლოს, დუისის და არგოხის კოლმეურნეობებმა.

...

ამ კოლმეურნეობის ნაკვეთზე მომუშავე კომბაინერმა ბაგრატ ნახუცრიშვილმა მოსავალი უხარისხოდ აიღო, პური მაღლა მოჭრა, რის გამოც მინდვრად დარჩენილია ბევრი თავთავი. 33 ჰექტარზე დარჩენილი თავთავი არ აუკრეფიათ. კოლმეურნეობაში 103 მოზარდია, მაგრამ მათ სათანადოდ არ იყენებენ თავთავების შეგროვებაზე.

კოლმეურნეობა აგვიანებს სხვა სამუშაოებსაც. 29 ჰექტარზე მომკილი ძნა დაუზვინავია და გაშლილია მინდვრად, ხოლო კომბაინით აღებული მარცვალი არ გაუწმენდიათ და ტრიერი შეუკეთებელია.

ზ. ცხადაძე

გავაძლიეროთ თივის აღება-დამზადება

სამამულო ომის დღეებში საქართველოს სსრ კოლმეურნეობები წარმატებით იბრძვიან თივის მოსავლის დროულად აღებისა და სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულებისათვის. მთელმა რიგმა რაიონებმა და კოლმეურნეობებმა 1942 წლის დავალებები უკვე შეასრულეს გადაჭარბებით: ლუქსემბურგის რაიონში უკვე გასთიბეს გათვალისწინებული ფართობის 219 პროცენტი, ყარაიის რაიონში — 196, თბილისის — 180, ბორჩალოს — 155. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის, კასპის, წყალტუბოს, ლაგოდეხის რაიონები.

საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში წელს გათვალისწინებული 200 ჰექტარის ნაცვლად გათიბულია 400 ჰექტარი თივა, აქვე გოგლიძის სახელობის კოლმეურნეობაში ნაცვლად 200 ჰექტარისა — 280, ხოლო სოფ. მუღანლოს ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, 200 ჰექტარის ნაცვლად — 393. თივა ...

...

... მასობრივად არის გაჩაღებული მთიან რაიონებშიც — ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრიწყაროს და ბაშკიჩეთის რაიონებში.

მთელმა რიგმა რაიონებმა წელს მიიღეს იმაზე ბევრად მეტი თივა, ვიდრე გათვალისწინებული იყო. გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში გეგმის ზევით მიღებულია დაახლოებით 40.000 ცენტნერი თივა, წითელწყაროში — 83.000, ბორჩალოში, — 8.000, ლუქსემბურგში — 1.000-მდე, კასპში — 600-მდე ცენტნერი.

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის თივის სავალდებულო ჩაბარების გეგმა 114.7 პროცენტით გაანაღდეს. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე ყარაიის, გორისა და ბორჩალოს რაიონები.

მაგრამ ყველგან როდი აქცევენ სათანადო ყურადღებას თივის აღება-დამზადებას — სახელმწიფოსათვის ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმეს.

მართალია, ბევრგან წელს უხვი მოსავლის შედეგად შედარებით ნაკლებ ფართობზე მოხერხდა იმაზე მეტი თივის მიღება, ვიდრე სულ გათვალისწინებული იყო, მაგრამ, ცხადია, ამით არ შეიძლება გამართლებულ იქნას ფართობების გაუთიბავად დატოვება. მიუხედავად იმისა, რომ ვადები გავიდა, წითელწყაროს რაიონში აგვისტოს მეორე ხუთდღიურში თივა აუღებელი იყო 1.100-მდე ჰექტარზე, თელავის რაიონში — 240, გორში — 540, ხაშურში — 50, საგარეჯოში — 500, მცხეთაში — ...-მდე ჰექტარზე.

აღსანიშნავია, რომ ყვარლის, ლანჩხუთის, თელავის, ხაშურის, მცხეთის, ლაგოდეხის, თეთრი წყაროს და ზოგი სხვა რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები ჩამორჩნენ სახელმწიფოსათვის თივის სავალდებულო ჩაბარებაში. მაგალითად, აგვისტოს მეორე ხუთდღიურისათვის თელავის რაიონმა გეგმა მხოლოდ 6.4 პროცენტით შეასრულა, ყვარლისა და ლანჩხუთის რაიონებს კი დამზადება დაწყებულიც არ ჰქონდათ.

ყუბანის ველზე

მოქმედი არმია, 11 აგვისტო (საკდესი). ყუბანის ველზე საბრძოლო მოქმედებას განსაკუთრებით რთული ხასიათი აქვს. მოწინააღმდეგე მიმართავს თავის აჩემებულ ტაქტიკას—მასირებული დარტყმების, ფლანგსა და ზურგში დარტყმის, დესანტების გადმოსხმის ტაქტიკას. ჩვენი ჯარები მტერს უპირისპირებენ თავიანთ ტაქტიკას—საველე მოძრავი დაცვის ტაქტიკას, მოწინააღმდეგის მოქანცვის, მისი ტექნიკისა და ცოცხალი ძალის მოსპობის ტაქტიკას.

ზოგიერთი ხუტორი და სტანიცა 5-6-ჯერ გადადის ხელიდან ხელში. ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში 5 შენაერთის ცხენოსნებმა მტრის რამდენიმე ათეული ტანკი მოსპეს და დიდძალი ცოცხალი ძალა გასწყვიტეს. კაზაკები ავიაციასა და ტანკებთან თანამოქმედებით მამაცად იბრძვიან როგორც საცხენოსნო, ისე საქვეითო მწყობრში. ისინი მარჯვედ იყენებენ მათთვის კარგად ცნობილ ველს და მის განსაკუთრებულ თვისებებს.

დაძაბულ ბრძოლას ეწევიან მტერთან ჩვენი არტილერისტები. სერჟანტ ორლენკოს ქვემეხის გუნდს ნაბრძანები ჰქონდა ქვეითთა მცირე ჯგუფთან ერთად მოეგერიებინა გერმანელთა იერიში. მტრის 25 ტანკი იმ უბნისაკენ მოიწევდა, რომელსაც ჩვენი ჯარის მცირე ჯგუფი იცავდა. არტილერისტებმა ზარბაზანი მჩხუმზირას ნათესით შენიღბეს; ისინი 500-600 მეტრზე უშვებდნენ ტანკებს და პირდაპირი დამიზნებით ურტყამდნენ კოშკურებს და მანქანის წამყვან თვლებს. გერმანელ მეავტომატეთა ჯგუფმა სცადა ზურგიდან შემოევლო, მაგრამ იგი მანქანებს ჩამოაცილეს და შემდეგ ამოხოცეს. როცა შებინდდა, გერმანელებმა მეორედ მოიტანეს იერიში, მაგრამ არტილერისტებმა ეს იერიშიც მოიგერიეს.

მტერს ერთი წუთითაც არ აშორებდა თვალს სერჟანტი ორლენკო. იგი საშუალებას არ აძლევდა გერმანელებს მიზანში ამოეღოთ ის ადგილი, სადაც მისი ზარბაზანი იდგა. მეთაური ყოველი 3-4 გასროლის შემდეგ პოზიციას იცვლიდა. როცა ტრაქტორი-საწევარი გაფუჭდა, გუნდმა ქვეითთა დახმარებით დაიწყო ქვემეხის ხელით გადატანა.

ოსტატურ დამიზნებასთან შეხამებულმა ამ მარჯვე მანევრებმა საუცხოო შედეგი მოიტანა. გერმანელთა 6 ტანკი მწყობრიდან იქნა გამოყვანილი, დანარჩენებმა უკან დაიხიეს.

ა. მალიბაშვილი

მოიერიშეთა იერიშები ვორონეჟის სამხრეთით

მოქმედი არმია, 9 აგვისტო (საკდესის სპეცკორესპონდენტისაგან). რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა ნაწილებმა, რომლებმაც დონი გადალახეს ვორონეჟის სამხრეთით, მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელთა სარდლობა ყოველ ღონეს ხმარობს დაკარგული ზღუდის დასაბრუნებლად.

ფრონტის ამ უბანზე სასტიკი ბრძოლებია. გერმანელთა იერიშებს წარმატება არა აქვთ. ჩვენი სახმელეთო ჯარები ავიაციის აქტიური დახმარებით მტკიცედ ინარჩუნებენ პოზიციებს.

ძლიერი სანახაობა იყო მოიერიშეთა თავდასხმა კავალერიის ნაწილზე. მტრის მხედრები მინდორზე დაჰქროდნენ და ხსნას ეძებდნენ, მაგრამ ვერსად ემალებოდნენ მოიერიშეთა ტყვიამფრქვევის ჯერებს.

ფრიად იშვიათი შემთხვევა, რაც ესკადრილიის მეთაურს კაპიტან კოვშიკოვს მოუვიდა, ადასტურებს ჩვენი მოიერიშე თვითმფრინავის არაჩვეულებრივ გამძლეობას. კოვშიკოვმა დამრეცი პიკირებით ზუსტად დააყარა ბომბების მთელი ტვირთი ფაშისტთა ტანკებს. უეცრად თვითმფრინავი ძლიერ შეირხა. იგი სერიოზულად დააზიანა ყუმბარამ. კოვშიკოვს ეგონა, რომ მანქანა ნაწილ-ნაწილ იშლებოდა. კოვშიკოვმა დაძაბა ძალა, რამდენადაც შეეძლო, პიკიდან გამოიყვანა მოიერიშე და მიზანს მოშორდა. თვითმფრინავმა თითქმის დაჰკარგა მართვა. მფრინავი ცდილობდა თავისი ტერიტორიისაკენ გაეწია თვითმფრინავი და შემდეგ ძირს დაეშვებულიყო. მაგრამ დონს რომ გადაუარა თავზე, კოვშიკოვმა გადასწყვიტა მაინც მიეღწია თავისი აეროდრომისათვის.

ჩვეულებრივად კაპიტანი უნაკლოდ ახდენდა ძირსდაშვებას. მაგრამ ამჯერად ყველა შეშფოთებული იყო. თვითმფრინავი თითქოს დაენარცხა მინდორში და ბაჯბაჯით გაიარა რამდენიმე მეტრი. მფრინავის ამხანაგებმა რომ მანქანა დაათვალიერეს, განცვიფრებული დარჩნენ. ძნელი იყო იმის გაგება, თუ როგორ მოახერხა პილოტმა აეროდრომამდე მოღწევა. თვითმფრინავს პასუხსაგები დეტალი მოსტეხოდა, მოსაბრუნის საჭე და სიღრმის საჭის მარჯვენა ნაწილი ჩასოლილი იყო. მთელი თვითმფრინავი დაცხრილული იყო ყუმბარის ნამსხვრევებით. მხოლოდ პილოტირების დახელოვნებულმა ოსტატობამ, დიდი სიმამაცის ადამიანმა. შესრულდა საბრძოლო ამოცანა ასეთი თვითმფრინავით, შესძლო გამოეჩინა იმდენი ძალა, რომ ბაზაში მიეყვანა მანქანა.

მ. კუსილმანი

„ყველაფერი, რასაც ძარცვით იშოვნი, შენია"

მოქმედი არმია, 10 აგვისტო (საკდესის ...

„ყველაფერი, რასაც ძარცვით იშოვნი, შ- ...

...

ილო მოსაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ჩვენ ვნახეთ ისინი...

თექვსმეტი წლის წინათ კობა ჩოხელმა ათიოდე ღარიბ გლეხსა და მოჯამაგირეს მოუყარა თავი. მოითათბირეს და ფიცი დასდეს, პირველი უცდელი კოლექტიური შრომის ლხინისა და ჭირის მოზიარენი ყოფილიყვნენ.

ასე გაუდგნენ მანამდე უვალ გზას უხარო და უსახლკარო ქედელი კომუნარები... განვლო გმირული შრომისა და ბრძოლის თექვსმეტმა წელმა და იმ პირველი დღის ნაოცნებარი შირაქის მადლიან მიწას დაემყნო, როგორც სტალინური დროების დიდი სიმართლე. მათი ნახნავ-ნათესით, მათი ნახირითა და ფარებით, დოვლათითა და ჭირნახულით ადიდდა შირაქის ველი.

და როდესაც სამამულო ომი გამოცხადდა, ბედნიერმა და მადლიერმა ხალხმა დარჩეული ვაჟკაცები გაგზავნა ბრძოლის ველზე.

მიწის ბევრი გამოჩენილი ოსტატი მოაკლდა ზემო-ქედის კოლმეურნეობას, მაგრამ შინ დარჩენილები ისე ერთპირად დაირაზმნენ და ჩოხელმაც ისეთი თადარიგი დაიჭირა, რომ წელს იმდენი დასთესეს, რამდენიც არ დაუთესიათ არც ერთ წელს ამ თექვსმეტ წელიწადში. შარშან თუ 920 ჰექტარი დასთესეს, წლევანდლისთვის 1.100 ჰექტარი დაგეგმეს, მაგრამ გაზაფხულზე ამასაც აღარ დასჯერდნენ და ფრონტისა და ქვეყნის საჭიროებისათვის 1.400 ჰექტარი მოხნეს და დასთესეს.

და თუ ოდესღაც ზემოქედელების შემოსულ ყანებს ათიოდე ნამგალი ჰყოფნიდა, ახლა მათ მინდვრებს ოთხი კომბაინიც ვეღარ ერევა. დიდი და პატარა მინდორში გასულა, რომ უხვი სამხედრო მოსავალი მალე მიაშველონ ქვეყანას.

ჩვენ ვნახეთ ისინი...

არ ეღალატების!

ოცი ქალი ყანას მკიდა. ისინი მკიდნენ ჩაწოლილ ყანას, სადაც კომბაინს გავლა გაუჭირდებოდა.

ჩამავალ მზეზე მწყობრად ელავდნენ გალესილი ნამგლები. ქალების მკლავებში ოქროსთმიან ყრმებივით იწვნენ დაპურებული ხელეურები.

მუშაობდნენ ჩუმად. მხოლოდ გალესილი ფოლადი ცივად სუნთქავდა წელამდე აყრილ თავთავებში, ან კიდევ დამფრთხალი მწყერი თუ გაიკრიალებდა სადმე და უმალვე მოინაცვლებდა ადგილს.

კაბაშემოკვალთული ქალები კვალში მისდევდნენ ერთმანეთს და ისე ერთხმად აწკარუნებდნენ ნამგლებს, თითქოს ახლაც საჩხ...

ფეხურებში იდგნენ, მათი ნამგლები ეჭირათ ხელში და მათ სახელებს ჩურჩულებდნენ.

კობა ჩოხელს გული არ ანებებდა სამოცდათერთმეტი წლის დედაკაცი, მარინე ბუქური, ყანაში სამკალად გაეშვა, მაგრამ მთიელმა დედამ თუკადრისა კიდეც დიაცურად შინ ჯდომა, რადგან ახლა, სამშობლოს განსაცდელის ჟამს, დედაკაცს დიაცობა არ ეპატიება.

— უვაჟკაცობას ვერ დავიტყობთ! ქვეყანას არ ეღალატების!—გვითხრა მარინემ და მკლავში მოქცეული ხელეური ფრთხილად დაუშვა მიწაზე, როგორც ერთდროს თავის პატარა ვაჟს ნამჯობში მიაძინებდა.

„ქვეყანას არ ეღალატების!".

ეს უკვდავი რწმენა ასულდგმულებს ამ ...

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 10 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინდოეთის მთავრობამ უფლება მიანიჭა პროვინციულ მთავრობებს შესცვალონ ადგილობრივი ხელისუფლები, რომლებიც თავდაცვითი ღონისძიებების საზიანოდ იყენებენ თავიანთ სამსახურებრივ ფუნქციებს. მთავრობამ აკრძალა აგრეთვე იმ ცნობების გამოქვეყნება, რომლებშიც მოხსენებულია სამოქალაქო ურჩობის კამპანია ან ის ღონისძიებები, რომლებსაც მთავრობა იღებს აღნიშნულ კამპანიასთან დაკავშირებით. ნებადართულია მხოლოდ ოფიციალური ცნობების ან ოფიციალური სააგენტოების ცნობათა გამოქვეყნება.

იმავე სააგენტოს ცნობით, ბომბეიში ტრამვაისა და ავტობუსის მოძრაობა ყველგან შესწყდა, გარდა ნავსადგურის რაიონისა. ქალაქის ზოგიერთ ჩრდილოეთ რაიონში ტრამვაის მოძრაობა შეაჩერა ბრბომ, რომელიც მას ქვებით უღობავდა გზას. ზოგიერთ საწარმოში მუშაობა შესწყდა. დროებით დახურულია ყველა ბაზარი.

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება დელიდან, დღეს სრულიად-ინდოეთის შრომის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ფედერაციაში შემავალ ყველა პროფკავშირს გაადიდონ სამხედრო პროდუქციის გამოშვება. მასობრივი სამოქალაქო ურჩობის დაწყების შესახებ კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, —ნათქვამია მოწოდებაში, — წინასწარ განზრახული ცდაა იმისა, რომ საბოტაჟი გაუწიონ სამხედრო ღონისძიებებს. პროფკავშირებმა, რაც კი შეუძლიათ, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მუშათა სულიერ განწყობილებას.

• • •

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო (საკდესი). პრესის ცნობით, დელში რამდენიმე დემონსტრაცია მოეწყო. მათ შორის ყველაზე დიდი 10 აგვისტოს დილით გაიმართა. ბომბეიში დემონსტრაციის დროს 12 კაცი მოჰკლეს და 60-ზე მეტი დასჭრეს. ამ ამბის შემდეგ ქალაქის საწარმოებში გაფიცვა დაიწყო. მიუხედავად მთავრობის განკარგულებისა, რომლითაც აკრძალულია პირველი საჭიროების საგნების მოვაჭრე მაღაზიების დახურვა, ბაზრების უმეტესობა, გარდა იმ ბაზრებისა, რომლებიც ქალაქის მუსლიმანურ რაიონებშია, დაიხურა.

ბომბეიში მუშაობა შესწყვიტეს 18 ქარხნის მუშებმა. ახმედაბადში საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს ბამბეულის ფაბრიკების მუშებმა.

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, კარაჩში ყველა ... და კოლეჯების სტუდენტებმა მეცადინეობა შესწყვიტეს.

ქალაქ პენაში ჯარებმა დაიკავეს ყველა დაწესებულება. მადრასში დააპატიმრეს კონგრესის მრავალი მოღვაწე. მადრასის პროვინციის ხელისუფლებმა აკრძალეს დემონსტრაციები და კონგრესისტთა კრებები. ბომბეის ჩრდილო ნაწილში პოლიციის პოსტებს სროლა აუტეხეს, გადასჭრეს ტელეგრაფის მავთულები, დაამტვრიეს ქუჩის ფარნები და საფოსტო ყუთები. ბომბეისა და ალახაბადში მოსახლეობას აკრძალული აქვს ქუჩაში გამოსვლა დაბნელების შემდეგ.

ინდოეთის მრავალ პროვინციაში კონგრესის ორგანიზაციები კანონგარეშე გამოაცხადეს. პოლიციის მუშაობაში რეგულარული ჯარები ...

„მეორე ფრონტი ევროპაში მეტად საჭიროა"

ლომბარდო ტოლედანოს განცხადება

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო (საკდესი). ლათინური ამერიკის მუშათა კონფედერაციის თავმჯდომარემ ლომბარდო ტოლედანომ პროფკავშირების წევრთა მიტინგზე მექსიკაში სიტყვა წარმოსთქვა. თავის სიტყვაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ შეიქმნას მეორე ფრონტი ევროპაში.

ტოლედანომ აღნიშნა, რომ საშიშია კვლავ გადაიდოს მეორე ფრონტის გახსნა. ეს გამოიწვევს ომის გაჭიანურებას, კიდევ უფრო დიდი მსხვერპლის გაღებას, მათ შორის მექსიკელი ხალხის მხრივაც.

ინგლისის პროფკავშირული ორგანიზაციები მეორე ფრონტის შექმნას მოითხოვენ

ლონდონი, 11 აგვისტო (საკდესი). მანჩესტერში შესდგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოაწყო რკინიგზელთა ნაციონალური კავშირის ლანკაშირის საოლქო კომიტეტმა. მიტინგმა ერთსულოვნად გამოიტანა რეზოლუცია, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ გაიხსნას მეორე ფრონტი.

ინგლისის მაღაროელთა ფედერაციის თავმჯდომარემ ლოუტერმა ლონდონში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა: „ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მეორე ფრონტი დიდ პასუხისმგებლობას დააკისრებს ჩვენს მრეწველობას, მაგრამ ჩვენ სავსებით შევასრულებთ ჩვენს ვალდებულებებს".

რეზოლუციები ევროპაში მეორე ფრონტის დაუყოვნებლივ გახსნის მოთხოვნით მთელმა რიგმა სხვა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმაც გამოიტანეს.

რუზველტის მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ სპეციალური ორდენი შემოიღო სამრეწველო საწარმოთა და მუშათა დასაჯილდოებლად სამხედრო მასალების წარმოების დარგში ღირსშესანიშნავი მიღწევებისათვის. ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა რადიოთი მიმართა ამერიკელ ხალხს; მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების ყველა რადიოსადგურმა გადასცა.

„იმ თვალსაზრისით, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ ჩვენი მტრების დასამარცხებლად, — განაცხადა რუზველტმა, — ჩვენ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადავდგით". რუზველტმა აღნიშნა, რომ შეერთებულმა შტატებმა უკვე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სამხედრო მასალის წარმოების დარგში, მაგრამ ღერძის სახელმწიფოებზე სრული გამარჯვების უზრუნველსაყოფად საჭიროა მნიშვნელოვნად გადიდდეს მისი წარმოება. რუზველტმა განაცხადა რომ იგი დარწმუნებულია გაერთიანებული ერების გამარჯვებაში.

იმავე დღეს რადიოთი გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი უაღრესად თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები და მოუწოდეს სამხედრო მასალების წარმოების კიდევ უფრო მეტად გადიდებისაკენ.